ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3685850

ნომერი: AR1557299

თარიღი : 11.11.2017

გაცემის თარიღი : 16.11.2017

გაცნობის თარიღი : 16.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქვიშხეთის ქუჩა N51 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 49 / ქალაქი თბილისი , ქვიშხეთის ქ.N49ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარ ნაყოფია პ/ნ 62006044573
- გლდანი, Iმრ, კ-2, ბ-68

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გდგ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400161999
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ემზარ ნაყოფია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62006044573

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1297.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 61.5

- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 233.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 184.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 49.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თანასაკუთრებას, საჭიროა წარმოდგენილ იქნას მეორე მესაკუთრის მოქ. ალექსანდრე გრიგორიევის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

2. საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისის სპეციალისტის მიერ დამოწმებული, არსებული, სადემონტაჟო შენობების ნახაზები, მოგახსენებთ რომ აღნისნული შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებს, სადემონტაჟო შენობასტან დაკავშირებით

3. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" #57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მეორე მესაკუთრესაც, დამკვეთის ველში დამატებით დაფიქსირდეს აღნიშნული პირი. აგრეთვე, ვინაიდან მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თანასაკუთრებას, წარმოსადგენია მეორე მესაკუთრის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა, თანხმობა, ან აღნიშნული პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

4. ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ფიქსირდება ვალდებულებები, წარმოსადგენია ხელშემკვრელი პირების თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან ვალდებულებების საფუძველი, თუ ის არ საჭიროებს დამატებით თანხმობას.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge